# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 665

დამატების № 119

კვირა, 4 სექტემბერი 1916 წ.



სომხეთიდან გამოქცეულები.

## მგზავრები

По блѣдной долинѣ приходятъ, уходятъ и ходятъ несчетные духи.

К. Бальмонтъ.

ჯვარედინ ბილიკზე, დამჭკნარი, გამხმარი ფოთლები ცვივიან,—
ზედ სხივნი კრთებიან, ვარდნი იშლებიან, ცრემლებიც ღვივიან
და ამ გზით მრავალნი მუდმივად მავალნი მიდიან მგზავრები—
ბრძენნი და უგნურნი, ქიებზე უძლურნი, ღმერთებზე მძლავრები!..
მზეს ელოდებიან, ბნელს ერიდებიან,—საღამოს ჰხვდებიან!—
თვალებს აცეცებენ, რაღაცას ეძებენ—ლოდინში ბნდებიან,—
კოცნისთვის ქურდობენ, ლიმისთვის მრუდობენ, ცრემლებსა ჰმალავენ,
ძუნწობენ, ქველობენ, სძარცვავენ, მკვლელობენ, გულს-გულთან მსჭვალავენ...
თვით ჰქმნიან ლოცვებსა და წარმართ მოყვრებსა ტაძრადა ჰლალავენ—
თვითონაც შედიან, მათ გვერდით დგებიან და ტაძარს ჰბღალავენ!..
რიჟრაჟზე სალამით, მეგობრულ ალამით ერთმანეთს ჰხვდებიან,
ბინდზე კი ტყვიებით, მწვავ შურის-ძიებით გზად უსაფრდებიან!..
—სად იყავ?—სად მიხვალ? ბავშვები მალი-მალ ჰკითხავენ ურთი-ერთს
მოხუცნი თავს სწევენ და პასუხს აძლევენ:—ვეძებთო მართალ ღმერთს!..
და ძებნით დაღლილნი, თმენით თავ დახრილნი გზას გაუდგებიან
სიცოცხლეს ნატრობენ, სხვის სანთლებს აქრობენ—თვითონაც ჰქრებიან!..

—

ბილიკი გრძელია, ცრემლებით სველია—ზედ სხივნიც კრთებიან,
მგზავრები ჩნდებიან, ხან მონად ხდებიან, ხან მეფედ სხდებიან!..
უხმობენ მაღლა ცას, შესთხოვენ რაღაცას და ვერ კი სწვდებიან,—
და თუმცა ჰქრებიან, კვლავ ბევრნი რჩებიან—არ ცოტავდებიან!..

ქვიშხეთი.

ს. ფაშალიშვილი.

# შესანიშნავი შენობები



წმ. პეტრეს ტაძარი რომში.

# შესანიშნავი შენობები



ყაით-ბეის მეჩეთი ქაირში.

## კვერთხი

მოისმა მძლავრი გალობა გამკაჟებელი გრძნობისა.
გულის სალაროს შემრყევი,—წარმტაცი, მაცდურთ გმობისა.
მოისმა ჭექა-ქუხილი, საზარლად, ზღაპრულ გრგვინვადა;
ღრუბელთ სიმხეცით, მზის სხივთა გოდება მედგარ გმინვადა!

ციურ სივრცეში ქარ-ბუქი ჰფანტავდა ცეცხლის ალებსა,
მუხლმოყრილთ ლოცვას ურევდა ზესკნელში ღვთიურ ძალებსა.

გამოჩნდა კვერთხით წალკოტზე ზეგარდმო მირონცხებული;
და, რა იხილა სოფელი დატანჯულ-გაწამებული,
ხელნი აღაპყრო ვედრებით, ჩაგრულთა გასამხნევებლად.
აიღო კვერთხი-ტალკვესი—მჩაგვრელთა გასაძევებლად.

ვ. კულულაშვილი.

# განწირულნი

(Notati homines)

დრამა 4 მოქმედებად *)

მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

ვახტანგი. — მანუჩარი.
შალვა. — ნიკო.
გიორგი. — თამარი.
ოთარი. — ქეთო.

სტუმრები პირველ მოქმედებაში.

### მოქმედება პირველი.

სცენაზე, ელექტრონით განათებული, კლუბის დიდი ოთახია, სცენის სიღრმეში კი საცეკვაო დარბაზი, რომელიც თაღით უერთდება პირველს. მუსიკა უკრავს და მოცეკვავენი წყვილწყვილად, ნელის, სხეულის რითმიულ რხევით ხან გამოჩნდებიან, ხან მიიმალებიან. აქა იქ ჯგუფ-ჯგუფად დგანან სხვა სტუმრები.

შემოდის **შალვა:** ფრთხილად, მიმოავლებს თვალს სცენას და დაინახავს **ნიკოს**, რომელიც ფარდის ახლოსას მაგიდასთან ზის და ალბუმს ათვალიერებს, ხან კი მოცეკვავეთ უცქერის.

**შალვა.** (ნიკო მიუახლოვდება შალვას). აბა სთქვი ჩქარა, რაც გაიგე!?

**ნიკო.** ყველაფერი მართლდება: აშკარაა, რომ უყვარს.

**შალვა.** ჰმ! სხვა?

**ნიკო.** რაც შეეხება არჩევნებს, დღეს ჰქონდათ განსაკუთრებული, მრავალრიცხოვანი კრება. ყველა, ერთხმად თანახმა გახდა, ვახტანგის კანდიდატურის. (შალვა ტუჩებს იკვნეტს). მუშაობას დღეიდანვე შეუდგებიან. მთელი ქალაქი უბნებად დაანაწილეს; ყოველ უბანში ეყოლებათ მომხრენი, რომელნიც ვახტანგის სასარგებლოდ აგიტაციას გასწევენ.

**შალვა.** სულ ეგ არის?

**ნიკო.** არა: როცა არჩევნების დღე მოახლოვდება, მომზადებულ ხალხს დაურიგებენ ფურცლებს; ამავე დროს გაზეთებსაც მოიშველიებენ და დარწმუნებულნი არიან, რომ გაიმარჯვებენ.

**შალვა.** ოღონდაც, თუ ხელი არ შეუშალეთ!

**ნიკო.** სააგიტაციო ტრიბუნად, ოთარის გაზეთი უნდათ გამოიყენონ.

*) პიესა ნებადართულია წარმოსადგენად. Отз. Канц. Нам. № 30954.

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.
— „მუჰამმადსა ვფიცავ, მე მისი მტერი არ ვყოფილვარ და
ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..
ს. ფაშალიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


მალაქია ჯაფარიძე.


რუმინიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბრატიანუ.

**შალვა.** ოთარი დასთანხმდა?

**ნიკო.** განა შეუძლიან უარის თქმა? მისი გაზეთი ხომ ვახტან-
ის ხელშია.

**შალვა.** ჰმ! დიახ, დიახ! (ჩაფიქრდება) ნიკო! ხომ ხედავ, რა
იგ გენდობი?

**ნიკო.** დარწმუნებული იყავი, გულნაკლული არ დარჩები.

**შალვა.** ყური დამიგდე: რა კი ისინი იწყებენ მუშაობას, ჩვენც
ნდა შეუდგეთ საქმეს. მე უკვე გავეცანი მოწინააღმდეგე ჯგუფის
ევრებს და როგორც შევატყე, ცოტაოდენი ნდობა დავიმსახურე.
იდევ უფრო მჭიდროდ შეუკავშირდები მათ, როცა დაინახავენ,
ომ სამსახურის გაწევა შემიძლია. იმათ იციან, რომ ვახტანგი ძლი-
რი მოპირდაპირეა: მას ჩვენი ხალხი და საზოგადოება კარგად იც-
ობს; დიდი ავტორიტეტი, დიდი პატივი აქვს დამსახურებული; მი-
ი დამარცხება კი, მხოლოდ მე შემიძლიან. შენ ყველაფერი იცი.

**ნიკო.** ვიცი, როგორ არ, ვიცი!

**შალვა.** როგორც კი დადგება შესაფერი დრო, ამას მე გეტ-
ვი, როგორც კი დადგება, უამბობენ ერთს, მეორეს და ასე.

**ნიკო.** საბუთი რომ მომთხოვონ?

**შალვა.** ჩემზე მოათითე და დასაბუთებას მე ვკისრულობ.

**ნიკო.** კეთილი და პატიოსანი.

**შალვა.** ახლა თავისუფალი ხარ: ყოველ შაბათს აქ...

**ნიკო.** უსათუოდ, მაშ ახლა ნახვამდის და გამარჯვებით.

**შავლა.** ნიკო! ჩვენ სხვებთან ერთმანეთს არ ვიცნობთ.

**ნიკო.** მესმის: ნუ სწუხდები... ნახვამდის. (გადის).

**შალვა.** (სდგას ერთ ალაგას და მას სახეზე სევდის კვალი აშ-
არად დასანახი ხდება. ბოლოს მწარედ ჩაიცინებს და საცეკვავ
დარბაზში გადის. მუსიკა უკრავს თითქოს შორიდან. ცეკვავენ).

**გიორგი.** (მოსდევს უკან ვახტანგს.) დამაცალე ერთი სული მო-
ვითქვა, თორემ გავიგუდე. (ჯდება. ვახტანგი კი მოუსვენრად გრძნობს
თავს ხან ჩქარის ნაბიჯით დადის, ხან დაჯდება, ხან ადგება.) ნამ-
დვილი ქაჯია ის ცუგრუმელა, ისა. ღმერთს გეფიცები, ვახტანგ, ის
რომ ქვრივი არ იყოს და მე სულელი, უსათუოდ შევირთავდი. მაგ-
რამ **გამოცდილი ქალია**; ასეთი ქალი კი... ეხ! ცეცხლია, ნამდვილი
ცეცხლი. ახლა უნდა გამოვტყდე, აღარ მიკვირს თუ რად გადარევენ
ხოლმე უცხოელებს ჩვენი ქალები?!! ჯოჯოხეთის მაშხალაც რომ
იყოს, მაინც მოსწონთ; ლამაზი, კოხტა და კარგი თუ არის, მაშინ
ხომ—წასულია მათი საქმე. (ვახტანგს, რომელიც სრულიად არ აქ-
ცევს ყურადღებას.) შენ, რას დარბიხარ აქეთ და ხან იქით? რომე-
ლი გიქრის: ზენა თუ ქვენა?

**ვახტანგი.** ზენაც შენ გიქრის და ქვენაც!

**გიორგი.** სთქვი რაღა ახალი ამბავი: ის უშენოდაც ყველამ დი-
დი ხანია იცის, მაგრამ შენ? (პაუზა) ო-ო-ო! თამარი რომ არ იყოს
ქვეყანაზე, მართალს გეტყვი; ვერ მივხვდებოდი. (დგება) არა, შენ
მაინც „იწვი ცეცხლის ალზე—ტრფობის ისრით დაჭრილი“ და კი-
დევ ამ ოთახში სოდიხარ? აქ ხომ ყოველი კუთხე, ჭერი თუ იატაკი,
სკამიც კი შეყვარებულთა საიდუმლოების და როკვის უმეშვეო მოწმენი
არიან?!!

**ვახტანგი.** ა-ახ! კმარა, ნუ მოხსენი გულს! როცა შენ რომე-
ლიმე დედაკაცს აეტორლიალები, სარზე წამოეგები ხოლმე თუ ვინ-
მემ რამე გითხრა და მე კი დამცინი!?

**გიორგი.** ჰერიჰა! მართლაც რომ გიქრის... რაებს მიჰქარავ
დღეს?

**ვახტანგი.** მე კი არა შენ მიჰქარავ იმის მაგიერ, რომ დამეხ-
მარო, მირჩიო რამე, ჯამბაზობას მოჰყვები ხოლმე.


თავ. ალექსანდრე (სანდრო) ჩიქოვანი
(დაჭრილია).


უნტ.-აფიც. ალექსანდრე მაღლაკელიძე
(დაჭრილია).


პორ. მიხ. ლკოვიჩ. უშაკოვი
მოკლული ოსმ. ფრონ. 22 ივლისა.

**გიორგი.** უკაცრავად. მაჰანკლად ვერ გამოვდგები; სადაც საქმე ერთის სიყვარულს შეეხება, იქ მე არ ვარგივარ. არ მცალიან. ჩემი ხელობა არაა! (მცირე სიჩუმის შემდეგ.) რა უნდა გიშველო? თითონ მიდი და ყველაფერი უთხარი. რას უცდი? სად გაგონილა, ამდენი ხანი ლანდივით დასდევდე ქალს და იმან არც კი იცოდეს გიყვარს თუ არა?! დაგასწრებს ვინმე, აი თუნდ ბ. შალვა და უყარე მერე კაკალი. ან იქნებ არც კი იცი, გიყვარს თუ არა? იცი ნამდვილად, რომ...

**ვახტანგი.** (მოუთმენლად) ა-ახ!

**გიორგი.** უკაცრავად.

**ვახტანგი.** მიყვარს კი არა, ვგიჟდები, ადამიანო!.. იცი მერე როგორ მიყვარს?

**გიორგი.** (ღიმილით) აბა როგორ?

**ვახტანგი.** ყველაფერს, ყველაფერს ჩავიდენ მისთვის. თამარი რომ ჩემი არ იქნეს, თავს მოვიკლავ. (ხმა მაღლა.) შენ გესმის „**ჩემი**“ რას ნიშნავს? **ჩემი** ე. ი. **ჩემი** ეს... (ჩქარა)... სხვისი არავისი... მარტო ჩემი... მარტო მე და ის.

**გიორგი.** ხა! ხა! ხა!

**ვახტანგი.** რა ეშმაკი და ქაჯი გაცინებს?

**გიორგი.** (აჯავრებს) **ჩემი**, ე. ი. **ჩემი**! „სხვისი არავისი...“ მარტო **ჩემი**. ამიხსნა რაღა! აგრე თუ ფიქრობ თამარის დარწმუნებას, რომ გიყვარს, დაღუპულა შენი საქმე.

**ვახტანგი.** თითონ არ ვიცი, რას ვბოდავ (დარცხვენილი)... ან და შენთან რამე ხეირიანს იტყვის კაცი?.. ვერც კი გაიგებ. უნდა გიყვარდეს რომ გაიგო.

**გიორგი.** ღმერთმა დამიფაროს: სიყვარული, ჩემო ძმაო, თუ მკითხავ გულის მოშლილი ჰახრაკების წრიპინია. ერთი ვინმე შევიყვარო? სულელი ხომ არა ვარ? ის არ სჯობია, რომ ყველა მიყვარს, ბევრი? მეც ბევრს უყვარვარ. იქნებ შენ გგონია, ამდენი ქალი ქმრიანი თუ უქმრო, შვილიანი თუ უშვილო, ჩემთან ხელოვნების სიყვარულისათვის დადიან?! ეეხ! წავიდა ის დრო, ჩემო ვახტანგ, როცა რუსთველის სიტყვებს გასავალი ჰქონდა: „გული ერთსა დააჯერეო!“ მიქარვაა! მე რომ მხატვარი არ ვიყო, ახალ „ვეფ. ტყაოს.“ დავწერდი და წინასიტყვაობაში ვიტყოდი: „გული ბევრსა გადუშალე, ერთსა აღარ დააჯეროო“ მეთქი. სიყვარული! ახალგაზრდა კაცი და სიყვარული, მე არ მრწამს. ჩვენი ხნის ხალხი, რასაც არ უნდა მიადგეს, თავისი უნდა ჰქნას. სიყვარული მოხუცებულებისათვის არის საჭირო. იმათ გრძნობას გაღიზიანება უჭირდება და ამისათვის შესაფერი ობიექტის გამორჩევა აუცილებელია.

**ვახტანგი.** მხატვარი, ისიც ნიჭიერი, და თან ასეთი სისულელე?!

**გიორგი.** რას იზამ ჩემო კარგო! ეს **ნიჭის** სიჯიუტეა. მიყვარს ხანმოკლე დროს ტარება.. ცხოვრებაშიც ისა ვარ, რაც ხელოვნებაში... მძულს მუდმივი გრძნობა, აჩემება... სხვადასხვაობაში ისვენებს, როგორც შენ მიწოდე, ნიჭიერი მხატვარი. (ვახტანგი უფრო მოცეკვავეთ ათვალიერებდა).

**ვახტანგი.** მოვიდა, მოვიდა! გიორგი! ხედავ?

**გიორგი.** (მიუახლოვდება) ჰაი, ჰაი რომ ვხედავ. იმასაც ვხედავ, რომ შალვაც იქ დაიბადა.

**ვახტანგი.** დასწყევლოს ღმერთმა მაგის თავი და ტანი: ყოველთვის იქ უნდა გაჩნდეს, სადაც მე ვარ.

**გიორგი.** მე მგონია, უფრო იქ სადაც თამარია! (ხუმრობით) გინდა ერთი ლაზათიანად მივბეგვო?

**ვახტანგი.** გაჩუმდი ღვთის გულისათვის!

**გიორგი.** მაშ რისი გეშინია? შესახედავად გჯობნის, ჭკუით, სახელით თუ რითი?

**ვახტანგი.** არა, კი არ მეშინია, მაგრამ... ისე... მაინც უხერხულად ვგრძნობ თავს როცა ვხედავ: ერთი სიტყვა ვერ მითქვამს დამშვიდებით (მუსიკა არ უკრავს. თამარი და შალვა შუა დარბაზში დგანან).

**გიორგი.** (ეშმაკურად) გრძნობს გული მეტოქეს. ჩვენც წავიდეთ იმათკენ. ხედავ, თამარი როგორ იხედება აქეთ-იქით? უეჭველია შენ გეძებს. (თამარი წამოვა სცენისაკენ.) აქეთ მოდიან. ერთი შალვას შეხე: ნამდვილი სფინქსია; ან და ესეც არის საიქიოდან დაბრუნებულა და უნდა საიდუმლო რამ გადასცეს ვინმეს, და შესაფერი ადამიანი კი ვერ უნახავს.

**ვახტანგი.** თამარი კი თითქოს გადაშლილი წიგნია.

**გიორგი.** რომლის წაკითხვა შენ აქამდე ვერ მოგიხერხებია. (თამარი უკვე სცენაზეა და უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრავს ყურს).

**თამარი.** რისი წაკითხვა ვერ მოუხერხებია ბ. ვახტანგს? (ლაპარაკში, მიესალმებიან ერთმანეთს).

**გიორგი.** ალეგორიულად იყო ნათქვამი და შეეხებოდა გულის ან სულის, შინაარსის თუ გრძნობის ახსნას.

**თამარი.** ო-ო-ო! ეს მეც დიდი ხანია შევამჩნიე! ბ. ვახტანგი ერთი წიგნის კითხვაში ძლიერ, ძლიერ სუსტია... ძალიან მიკვირს!!!

**შალვა.** მეც ძლიერ მიკვირს.

**თამარი.** თქვენ რათა ბ. შალვა?

**შალვა.** მეგონა, სადაც არაფერი სწერია, ბ. ვახტანგი, იქ აღმოაჩენდა წასაკითხს, და თუ სადაც სწერია, იქ ვერ წაიკითხავდა,— არ მოველოდი. (ვახტანგ!) თუ არ ვცდები, მაქვს უფლება, ასეთი აზრისა ვიყო თქვენზე. ხე! ხე! ხე!

**ვახტანგი.** თქვენი ნებაა! (მშრალად.)

**შალვა.** გმადლობთ.

**თამარი.** (გიორგის და ვახტანგს) მართლა, ბოდიშს ვიხდი: იქნებ ხელი შეგიშალეთ!

**გიორგი.** თქვენგან არ მიკვირს?! ცის მანანასავით მოგელოდით. ჩემი თუ არ გჯერათ, მოწმედ შემიძლიან ბ. ვახტანგი დავასახელო! (ვახტანგს ჩუმად.) სთქვი რამე, რა ღმერთი გიწყრება?!

**თამარი.** შემიძლია თქვენც დაგიჯეროთ. მაშ როგორც სჩანს, თქვენი ამ ოთახში ყოფნის მიზეზი, როცა ყველა იქ არის, მოწყენილობა უნდა იყო' !!

**შალვა.** მაშინ თქვენ შეგიძლიანთ დიდი სამსახური გაუწიოთ ბ. ვახტანგს და გიორგის.

**გიორგი.** ოღონდაც! (თამარს) თქვენთან ყოფნა გაცილებით უფრო საინტერესოა და სასიამოვნო რასაკვირველია, ვინემ... ვინემ (ღიმილით), თუ გნებავთ ბ. შალვასთან.

**შალვა.** მე შემიძლიან წავიდე.

**თამარი.** რათა ბ. შალვა? თქვენ აქ ისეთივე უფლებითა ხართ, როგორითაც ყოველი ჩვენგანი.

**გიორგი.** ე. ი. თქვენ ბრძანებთ, რომ ბ. შალვა, სრულებით არ გვიშლის ხელს. (გიორგი შალვასთან მივა, როცა მუსიკა დაიწყება და მუსაიფობენ).

**თამარი.** თქვენ დღეს რა დაგემართათ?

**ვახტანგი.** ახალი არაფერი სრულიად.

**თამარი.** თქვენ იმდენად გულჩახვეული ადამიანი ხართ, რომ მე არც ძველი ვიცი.

**ვახტანგი.** გნებავთ კი იცოდეთ?

**თამარი.** (პაუზა) რატომაც არა, თუ საიდუმლო არაა?!

**ვახტანგი.** (ჩააჩერდება თვალებში უსიტყვოდ. ორივეს აღელვება ეტყობა.)

**გიორგი.** (შალვას, რომელიც ხშირად შეხედავს თამარს და ვახტანგს) რაღაც ხშირად იყურებით იქითკენ.

**შალვა.** განა არ შეიძლება?

**გიორგი.** მაშ მე არ მოგწონვართ, როგორც ვხედავ. განა მე უფრო საინტერესო არა ვარ იმათზე?

**შალვა.** ხანდახან, ხუმრობა გცოდნიათ, ბ. გიორგი.

**თამარი.** (ვახტანგს) გავიდეთ აქედან: აქ თითქოს ჰაერია შეხუთული.

**ვახტანგი.** მიბოძეთ თქვენი ხელი. (მიდიან).

**გიორგი.** (შალვას) ხედავთ? ხელი გაუყარა! აი, აი, აი! (უნდა გაჰყვეს მათ.)

**შალვა.** (შეაჩერებს) შეიძლება რამდენიმე წუთი მომითმინოთ კიდევ? პატარა საქმე მაქვს.

**გიორგი.** რატომაც არა: შეიძლება! ძლიერ სასიამოვნოა თქვენთან მუსაიფი ბევრისაგან გამიგონია: უცნაური ადამიანია, მაგრამ ჭკვიანიაო. მართალი უნდა გითხრათ, ძლიერ მიამა. ჩვენს დროში ძლიერ ცოტაა ჭკვიანი კაცი. გისმენთ, დაბრძანდით. (სხდებიან).

**შალვა.** ჩვენში ბ. გიორგი, ძლიერ ადვილია ჭკვიანი კაცის რეპუტაციის მოპოება; ისე ადვილია, როგორც მაგალითად, საზოგადო მოღვაწის სახელის მოხვეჭა. მაგრამ ახლა, ასეთი მუსაიფისთვის არ მცალია. ერთი რამ უნდა გთხოვოთ.

**გიორგი.** ბრძანეთ!

**შალვა.** (პაუზა) ბ. გიორგი! რასაც ახლა გაიგონებთ, თქვენთვის იქნებ სრულიად უმნიშვნელო იყოს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ: მე თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ. (გიორგი თავს დაუკრავს) თქვენი სურათები გამოფენაზე მინახავს და ძლიერ მომეწონა. თქვენს ნახატებს თავისებური ექსპრესია და სიღრმე ატყვია სწორედ ამიტომ მოგმართეთ.

**გიორგი.** უხერხულია ბ. შალვა, ჩემის მხრით, მადლობის თქმა.

**შალვა.** არც საჭიროა. ბ. გიორგი! თქვენ ერთი სურათი უნდა დამიხატოთ.

**გიორგი.** დიდის სიამოვნებით: ეს ჩემი ხელობაა.

**შალვა.** მაგრამ საქმე ის არის, რომ სიუჟეტი მე უნდა მოგცეთ.

**გიორგი.** თქვენი ნებაა! (მუსიკა უკრავს მელოდიას).

(შემდეგი იქნება).

**შოთა დადიანი.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.